

ფინეთის ოკუპაციის ხოლო
საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინფორმაციული გაკვეთილი საბავშვო და საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის.

ავტორი: სალომე ზხარაძვილი

ტური მომზადდა სერიის “როგორ იქმნებოდა საქართველო” ფარგლებში.

პროექტის მიზანია, მოგვითხროს თბილისის მდიდარ ეთნიკურ და
რელიგიურ მრავალფეროვნებაზე. ასევე, წარმოაჩინოს იმ
უმცირესობების წვლილი, რომლებმაც საუკუნეების
განმავლობაში შექმნეს საქართველოს
საერთო ისტორია
და კულტურული
მემკვიდრეობა.

2025

გაკვეთილის შესახებ

გაკვეთილის შესავალი და მიზანი

გაკვეთილის მიზანია მოსწავლეებმა აიმაღლონ ცნობიერება ეთნიკური უმცირესობების როლზე საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში და გააანალიზონ საბჭოთა ოკუპაციის მიზეზები და შედეგები.

გაკვეთილზე მოსწავლეები ასევე ისწავლიან:

- კვლევის მეთოდებს.
- ინფორმაციის მოძიებას.
- მიღებული ინფორმაციის გადამოწმებას.

სასწავლო პროცესში:

- განვიხილავთ კოლაუ ნადირაძის ლექსს „25 თებერვალი“ (ლიტერატურა, როგორც ისტორიის მატიანე);
- გავაანალიზებთ საქართველოს ოკუპაციის ისტორიულ გარემოებებს;
- განვიხილავთ ეთნიკური უმცირესობების როლს საზოგადოებრივ და სამოქალაქო ცხოვრებაში ისრაფილ-ბეკ იედიგაროვისა და ისრაფილ-ბეკ მუსტაფა-ბეკ ოღლი იედიგაროვის მაგალითზე;
- ვიმსჯელებთ პროსოპოგრაფიის მნიშვნელობაზე ისტორიული პროცესების შესწავლაში.

მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსები
• მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან. • მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად. • მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად.	• პროექტორი; • კომპიუტერი; • სახელმძღვანელო; • რვეული, კალამი, მარკერი; • საინფორმაციო დაფა; • არსებული და მიღებული ცოდნის შესამოწმებელი ბარათები - „რა ვიცოდი, რა გავიგე, რა მინდა რომ გავიგო“.

გაკვეთილზე გამოყენებული მეთოდები და აქტივ

1. **ინტეგრირებული გაკვეთილი** (მოცემული გაკვეთილის ჩატარება შესაძლებელია როგორც ერთ-ერთი საგნის პედაგოგის მიერ ინდივიდუალურად, ასევე სამივე პედაგოგის მიერ ერთობლივად, ინტეგრირებული ფორმით, რადგან თემა მრავალმხრივია. ამასთან, მოსწავლეები გააანალიზებენ საკითხის აქტუალობას და გაიაზრებენ კვლევის მეთოდების მრავალფეროვნებას.)

2. **გონებრივი იერიში** (გონებრივი იერიშის მიზანია წინარე ცოდნის გამოვლენა და მოსწავლეთა ზოგადი განათლების დონის განსაზღვრა, უშუალოდ ახალი ინფორმაციის მიწოდებასა და საკითხის დეტალურ განხილვამდე.)

3. **ფენომენზე დაფუძნებული სწავლება** (ეს მეთოდი ხელს უწყობს რეალურ ცხოვრებაში პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას და მოსწავლეებს დილემებისა და სირთულეების ეფექტურად გადალახვას ასწავლის. ფენომენზე დაფუძნებული სწავლება ეხმარება მათ თემას მრავალმხრივი პერსპექტივით მიუდგნენ, რაც საჭირო გამოცდილებაა.

4. **სწავლების ფენომენზე დაფუძნებული მოდელი** საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სხვადასხვა საგნის ცოდნა რეალურ პრობლემებთან დააკავშირონ. მაგალითად, როგორ შეეხო საბჭოთა ოკუპაცია სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს საქართველოში — და ამ თემას ვუკავშირებთ სხვადასხვა საგანს, რომ უკეთ გავიგოთ რა მოხდა და რატომ.)

5. **ჯგუფური მუშაობა** (ჯგუფური მუშაობა ეხმარება მოსწავლეებს თანამშრომლობის უნარის განვითარებაში, საერთო ამოცანების გადაჭრაში და ერთმანეთის აზრების დაფასებასა და გათვალისწინებაში.)

6. **პაუზებით კითხვის მეთოდი** (პაუზებით კითხვის მეთოდი არის სწავლების სტრატეგია, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს ტექსტის უკეთ გააზრებაში. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს ან მოსწავლეებს უკითხავს და პერიოდულად აჩერებს კითხვას — პაუზებს აკეთებს — რათა:

   - მოსწავლეები დაფიქრდნენ წაკითხულზე;
   - დასვან კითხვები;
   - უპასუხონ მასწავლებლის ან თანაკლასელების მიერ დასმულ შეკითხვებს;
   - გააკეთონ ვარაუდები ტექსტის შემდეგი ნაწილის შესახებ;
   - გამოხატონ აზრი, ემოცია ან ასოციაცია.

ფაზა 1 - მოსწავლეებისთვის თემის და მიზნის გაცნობა, 7წთ

1. გაკვეთილის მსვლელობის განმარტება და ინსტრუქციების მიწოდება.

2. შესავალ ნაწილში ისტორიის მასწავლებელი, გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით, სვამს კითხვებს საბჭოთა ოკუპაციის შესახებ:

    - რა ინფორმაცია აქვთ მოსწავლეებს საბჭოთა კავშირის შესახებ?
    - რა იციან 1921 წლის 25 თებერვალზე?
    - როდის მოიპოვა საქართველომ პირველი დამოუკიდებლობა?
    - რა გახდა დამოუკიდებლობის დაკარგვის მიზეზი? (**დანართი #1**).

3. ისტორიის მასწავლებელი მოკლედ საუბრობს და, მოსწავლეების ცოდნის გათვალისწინებით, პასუხებს სცემს ზემოთ დასმულ კითხვებზე. ამასთან, ის აწვდის ინფორმაციას საბჭოთა ოკუპაციის მოვლენასა და ამ პროცესში ჩართულ ეთნიკურ უმცირესობებზე, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ. ამის მაგალითად მოჰყავს ისრაფილ-ბეკ იედიგაროვი და მისი პაპა ისრაფილ-ბეკ მუსტაფა-ბეკ ოღლი იედიგაროვი (ეთნიკურად აზერბაიჯა-ნელები); ასევე, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე (სომეხი), იოანის ფაშა-ლიდისი (ბერძენი), იოსებ ელიგულაშვილი (ებრაელი), პავლე ბიული (გერმანელი). (**დანართი #2**).

4. ისტორიის მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, მოიძიონ ინფორმაცია სხვა მნიშვნელოვანი პიროვნებების შესახებ, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებიდან არიან და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, ან ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდნენ.

ეტაპი II

1. სამოქალაქო განათლების მასწავლებელი სვამს კითხვებს ინფორმაციის მიღების წყაროებზე, დეზინფორმაციისგან მართებული ინფორმაციის გარჩევისა და მიზნობრივი კვლევის ჩატარების მეთოდებზე. ამასთან, მოსწავლეებს აძლევს ინსტრუქციებს ჯგუფური სამუშაოს შესასრულებლად და განსაზღვრავს კვლევის ჩატარების საფეხურებს. (**დანართი #3**)

2. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და 2 წუთის განმავლობაში ადგენენ პასუხს მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვაზე. მასწავლებელი იყენებს წინასწარ მომზადებულ ბარათებს. აქტივობის დასრულების შემდეგ, თითოეული ჯგუფი წარადგენს ნამუშევარს, ხოლო დიაგრამის დახმარებით დაფაზე განსაზღვრავენ კვლევის საფეხურებს.
3. საილუსტრაციოდ, მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, პროექტორისა და კომპიუტერის გამოყენებით იძიებს ინფორმაციას ისრაფილ-ბეკ იედიგაროვისა და ისრაფილ-ბეკ მუსტაფა-ბეკ ოღლი იედიგაროვის შესახებ. აცნობს მათ პროსპოგრაფიას, როგორც კვლევის საშუალებას. (**დანართი #4**).

ეტაპი III

1. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შესავალ სიტყვაში საუბრობს ლიტერატურის, როგორც ისტორიის მატიანის როლზე. ხაზს უსვამს იმ მხატვ-რულ და არამხატვრულ ნაწარმოებებს, რომელმაც დღემდე შემოგვინახა ისტორიული მოვლენების მნიშვნელობა. ამ ნაწარმოებებში აისახა ეროვნული ღირებულებებისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმძიმე და ჩვენი ქვეყნის ხვედრი. საბჭოთა ოკუპაციაზე საუბრისას, თვალსაჩინო მაგალითია კოლაუ ნადირაძის ლექსი “25 თებერვალი”. (**დანართი #5**).

2. მასწავლებელი პაუზების კითხვის მეთოდის გამოყენებით აკითხებს მოსწავლეებს ლექსს და თანმიმდევრულად განმარტავს იმ მხატვრულ საშუალებებს, რომელიც პოეტმა მოვლენის აღსაწერად და ემოციის გამოსახატად გამოიყენა. მხატვრული ელემენტები იძლევა შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა გააანალიზონ და გაიაზრონ პოეტური ხერხები, რომელიც ემოციურ დატვირთვას ანიჭებს ლექსს და აძლიერებს ტექსტის ისტორიით აღქმულ მნიშვნელობას. მასწავლებელი ნელ-ნელა ავლენს ტექსტის სიღრმეს, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს როგორც მხატვრულად, ისე ემოციურად გააცნობიერონ პოეტური შინაარსი და გაარკვიონ, თუ როგორ გადმოსცემს პოეტი ისტორიულ მოვლენას და მის მნიშვნელობას. (**დანართი #6**).

ფანა IV - ჩეფლექსია/შეკვაშება

1. გაკვეთილი გაერთიანდა ისტორიის, სამოქალაქო განათლებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ, რაც მოსწავლეებს საკითხის მრავალმხრივ გაანალიზების საშუალებას აძლევდა. მსგავსი ინტეგრირებული გაკვეთილები არამხოლოდ ცოდნის გაღრმავებას, არამედ მეთოდოლოგიების გაძლიერებასაც უწყობს ხელს.

2. ამის შედეგად მოსწავლეები შეძლებენ გააცნობიერონ, რომ ისტორიული პროცესების უკეთესად გაგებისათვის საჭიროა მრავალმხრივი მიდგომა: როგორც ლიტერატურული ანალიზი, ასევე სოციალური კონტექსტი, კულტურული დისციპლინები და კრიტიკული გააზრება, მოსწავლეებთან ერთად ისტორიული ფაქტებისა და ნაწარმოებების ანალიზის მეთოდების გაცნობა, როგორიცაა პროსოპოგრაფია და მხატვრული ანალიზი.
3. გონებრივი იერიშის გამოყენების მიზანი იყო წინარე ცოდნის გამოვლენა საბჭოთა ოკუპაციის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეთნიკური უმცირესობების როლზე. ეს პროცესი დაეხმარება მათ მიიღონ ცოდნა და აიმაღლონ ცნობიერება. კითხვები, რომელიც დასმულია გაკვეთილის დასაწყისში, სასარგებლოა თემის გასააზრებლად.

4. მოსწავლეები ჯგუფებში ერთმანეთს უზიარებენ ცოდნას, აყალიბებენ აზრებს და აწარმოებენ კვლევას. ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეები განსაზღვრავენ ძირითად და დამატებით ინფორმაციას, ისწავლიან, როგორ შეიძლება მოვიძიოთ წყაროები და როგორ გადამოწმდეს ამ ინფორმაციის სისწორე.

5. პაუზებით კითხვის მეთოდი ეფექტურად გამოავლენს, თუ როგორ ახერხებენ მოსწავლეები წაკითხულის გააზრებას. მხატვრული საშუალებების ამოცნობას და მათ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებას. ეს მეთოდი მოსწავლეებს დაეხმარება გააცნობიერონ, თუ როგორ გამოიყენება ლიტერატურა ისტორიული მოვლენების დოკუმენტირების საშუალებად.

6. გაკვეთილის მსვლელობის დროს, მოსწავლეების მაღალი ჩართულობა გამოიხატა როგორც მათი ინფორმაციის მოძიების პროცესში, ისე მის გადამოწმებასა და მასალების გაანალიზებაში.

7. სამომავლოდ მოსწავლეები განივითარებენ კვლევის მეთოდებისა და ანალიზის უნარებს. შეისწავლიან პროსოპოგრაფიული ანალიზის და ისტორიული ფაქტების გადამოწმების სხვა მექანიზმებს. ასევე, სხვადასხვა ტიპის თანამედროვე რესურსების გამოყენება, როგორიცაა ინტერნეტ პლატფორმები და არქივები, ხელს შეუწყობს მოსწავლეებს უკეთესად გაერკვნენ სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში.

დასკვნა

1. დასკვნის სახით შეგვიძლია შევაჯამოთ განხილული საკითხები.

2. მოსწავლეებს ვთხოვთ დააკავშირონ ერთმანეთთან მიღებული ინფორმაცია. ქართული ენა და ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება და ისტორია ის საგნებია, რომელიც მათი პიროვნების ჩამოყალიბებასა და საზოგადოების ღირსეულ წევრებად ქცევას უწყობს ხელს. სწორედ ამ მეცნიერებების მიზანია დავეხმაროთ მოსწავლეებს გაიაზრონ ფუნდამენტური და ეროვნული ღირებულებები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის ცოდნა, წარსული გამოცდილების ანალიზი, რომელიც ლიტერატურამ მხატვრული ტექსტის სახით შემოგვინახა, ისტორიამ ფაქტის სახით, ხოლო სამოქალაქო განათლებამ იმ სანიმუშო მოქალაქეების მაგალითით, როგორებიც იყვნენ ისრაფილ-ბეკ იედიგაროვი, ისრაფილ-ბეკ მუსტაფა-ბეკ ოღლი იედიგაროვი, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე (სომეხი), იოანის ფაშალიდისი (ბერძენი), იოსებ ელიგულაშვილი (ებრაელი) და პავლე ბიული (გერმანელი).

3. აუცილებელია, მოზარდებს ჰქონდეთ ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობების როლსა და მათი ღვაწლის შესახებ, რათა ურთიერთპატივისცემა გამყარდეს და საერთო ეროვნული საკითხებისთვის მეგობრული კავშირი გაძლიერდეს. მსგავსი ინფორმაციის ცოდნა არამხოლოდ ისტორიული ფაქტების გაცნობით, არამედ ემოციური ინტერპრეტაციითაც ხელს შეუწყობს მათი ცნობიერების ამაღლებას.

4. დასკვნების გამოსატანად და მსოფლმხედველობის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ვიცოდეთ კვლევის მეთოდები, რომელიც ყოველთვის დაეხმარება მოსწავლეებს საკითხის სწორად აღქმაში. კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგიებისა და ინტერპრეტაციის ცოდნა გააუმჯობესებს მოსწავლეთა უნარს, გაიაზრონ ისტორიული მოვლენები და მხატვრულად გააცნობიერონ მათი მნიშვნელობა.

5. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს დავურიგებთ ბარათებს - „რა ვიცოდი, რა გავიგე, რა მინდა რომ გავიგო“ და ვთხოვთ შეავსონ, რათა შემდგომი შეხვედრებისთვის მათი ცოდნა გავითვალისწინოთ.

დანართი #1

- 1922 წლის 30 დეკემბერს რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე დაარსდა სოციალისტური სახელმწიფო – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (შემოკლებით სსრკ, საბჭოთა კავშირი), რომელიც 15 საბჭოთა რესპუბლიკას (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი) აერთიანებდა. საბჭოთა კავშირი 1991 წლის 26 დეკემბერს დაიშალა. ბმული

- 1921 წლის 15 თებერვალს საქართველოში წითელი არმიის ნაწილები შემოიჭრა, დაიწყო საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ომი. 25 თებერვალს წითელი არმიის დანაყოფებმა თბილისი აიღეს და ქვეყანაში კომუნისტური მმართველობა დამყარდა, ჩამოყალიბდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ბმული

- საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი — საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, რომლითაც გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. მიღებულ იქნა 1918 წლის 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევს, 5 საათსა და 10 წუთზე, თბილისში, გოლოვინის (დღეს რუსთაველის) გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში. ბმული

ისრაფილ-ბეკ მუსტაფა-ბეკ ოღლი იედიგა-როვი (დ. 15 დეკემბერი, 1815, სოფ. ყაჩაღანი, ახლანდ. მარნეულის მუნიციპალიტეტი, - გ. 1884) - ბორჩალოელი აზნაური, რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1883). ისრაფილ-ბეკი დაიბადა ბორჩალოს მაზრის მემამულეთა ოჯახში (იედიგაროვები, ედიგაროვები, ასევე იედიგარაშვილები). მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი (1879). 1918 წელს ისრაფილ-ბეკი შეუერთდა დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. ჰქონდა მაიორის, შემდეგ პოდპოლკოვნიკის ჩინი. ერთხანს ხელმძღვანელობდა ბორჩალოს მაზრაში სამხედრო კონტრდაზვერვის განყოფილებას, იყო ამავე მაზრის იალაღთა გამგე. მონაწილეობდა სომხეთთან (1918) და საბჭოთა რუსეთთან (1921) ომებში. ამ უკანასკნელი კონფლიქტის დროს მეთაურობდა წითელი არმიის წინააღმდეგ მოქმედ 200-კაციან მუსლიმურ ცხენოსან რაზმს. საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა ჯერ თურქეთში, შემდეგ — პოლონეთში. იედიგაროვი, როგორც ქართველი ოფიცერი, კონტრაქტით ჩაირიცხა პოლონეთის არმიაში და პოდპოლკოვნიკის წოდებას მიაღწია. გარდაიცვალა 1939 წელს. დაკრძალულია ვარშავის მუსლიმურ სასაფლაოზე.

ბმული 1 ბმული 2

ელეონორა ტერ-ფარსეგოვა მახვილაძე - ეროვნებით სომეხი, იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, მან საქართველო არ დატოვა და ჩაერთო წინააღმდეგობის მოძრაობაში. აქტიურად მონაწილეობდა ანტისაბჭოთა აჯანყებებში.

ბმული

იოანის ფაშალიდისი - ეროვნებით ბერძენი. 1922 წლის თებერვალში მოხსენებით გამოვიდა სოციალისტური პარტიების პანევროპულ კონფერენციაზე, სადაც ისაუბრა ბოლშევიკების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შესახებ, მწვავედ გააკრიტიკა საბჭოთა რუსეთის ქმედებები და დელეგატებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მხარდაჭერისაკენ მოუწოდა. ბმული

იოსებ ელიგულაშვილი - ეროვნებით ებრაელი. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების დროს მონაწილეობდა საქართველოს სამუზეუმო ფასეულობების ევაკუაციაში. ბმული

პავლე ბიული - ეროვნებით გერმანელი. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების დროს, მონაწილეობდა წითელი არმიის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში. ოკუპაციის შემდეგ კი დარჩა საქართველოში და ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. ბმული

დანართი #3	დანართი #4
• საკვლევი საკითხის ფორმულირება; • საკვლევი კითხვების ჩამოყალიბება; • აუდიტორიის განსაზღვრა; • ინფორმაციის მოძიება.	ბმული #1 ბმული #2

დანართი #5

„ 25 თებერვალი“

თოვდა და თბილი ებურა თალხი,
დუმდა სითნი და დუმდა ხალხი.
ძილ-ღვიძლად იგო ქალაქი ჩვენი
საშინელებ კვლავ სჭედდა ეჭვიანი -
ისევ ეოლეოთა, სისხლი ლ ფრიქანი!
შეუნდელო დედა , ისევ ვაეყი ს,
ისევ წაბებ ეკვეი აკლილ ს,
ეს შეეიბალეს, კვლავ ეს და !!
თოვდა და თბილი ებურა თალხი.
დუმდა სითნი და დუმდა ხალხი.
დაფხა კოეოი და ფანახმელ
შხოლოდა თოვლი წვიოდა ნელა
ფეინებოდა ეშ ებ ვაშებს -
ანეშიჩოლ შეჭიდებს, ლ წილ შელავებს,
და ეძეავ იყო თებერვლის ლაშ
თოვდა და თბილი ებურა თალხი,
დუმდა სითნი და დუმდა ხალხი.
ია ვხეო, სად წინაო ილავდნ ხშლები,
სად საძს ეშეიხა დაი შვნა ძვლები,
სად ქეხოლი დედი ფრეშ ნანაში,
შეიშენ დაეშვა ჩვენი ალა ი,
სად ეშეიხა სისხლ ნაჭოხეეი,
თოვლ დაეეაეა ეჩეანისა ვილ
წიოელი ლ ოშეო, შოლეილ ყელი ,
ოდოს ფხეხნე შეეოში, ნაბიჭ ნელი
აეშოლეოდა სიკვდილი ფელი !
თოვდა და თბილი ებურა თალხი,
დუმდა სითნი და დუმდა ხალხი!

დანართი #6

ტექსტის ხატოვნად გადმოსაცემად ავტორი იყენებს მხატვრულ საშუალებებს:

1. **მეტაფორა –** ნიშნავს სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებას.

   - მაგალითად: „თბილისს ებურა თალხი“, „ სიკვდილი ცელით“...
   - თალხი სიმბოლოა გლოვისა, სევდისა. აქ თოვლის ფერი ემთხვევა გლოვის ფერს და ეს გამძაფრებული მეტაფორით არის გამოხატული.
   - სიკვდილი პერსონიფიცირებულია როგორც რეალური, ცოცხალი არსება, რომელიც თეთრ ცხენზე ამხედრებული მოდის ცელით ხელში.

2. **გაპიროვნება** - უსულოს გასულიერება. მხატვრული გამოსახვის ხერხი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება. უსულო საგანი წარმოდგენილია, როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მოქმედებს. განსხვავდება მეტაფორისაგან იმით, რომ მეტაფორაში ყველა თვისების გადატანა შეიძლება ერთი საგნიდან მეორეზე, გაპიროვნებაში კი გადატანილია მხოლოდ ადამიანური თვისებები.

   - მაგალითად: „დუმდა სიონი“, „საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი“.
   - სიონი (ეკლესია, სიმბოლურად ერი) გაადამიანებულია; თითქოს ეკლესიაც დუმს, გრძნობს ტრაგედიას.
   - გრდემლს, როგორც უგრძნობ საგანს, მიენიჭება საშინელი ძალა.

3. **რეფრენი** - პოეტური ტაეპები, რომელიც ლექსში გარკვეული წესით მეორდება, მეტ ემოციასა და მხატვრულობას სძენს ნაწარმოებს.

   - მაგალითად : „თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
   - დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!“ - ეს სტრიქონები რამდენჯერმე მეორდება ლექსში და ქმნის პათოსურ, მძიმე განწყობას. რეფრენი აქ ემოციური დაძაბულობის გადასაცემად გამოიყენება.

4. **ეპითეტი** - მხატვრული განსაზღვრა, პოეტური განმარტება, დახასიათება. ხშირად გვხვდება ზედსართავი სახელის ფორმით. პასუხობს კითხვაზე “როგორი?”. მაგალითად: „გმირთა სისხლით ნაპოხიერი“, „დალეწილ მკლავებს“, „უძრავი ღამე“.

   - „დალეწილ მკლავებს“ - ამ ეპითეტით გადმოცემულია გმირების ტრაგედია, რომლებიც ტანჯვისა და სიკვდილის სიმბოლონი არიან.
   - „ უძრავი ღამე“ - ღამე, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს მძიმე სიჩუმეს, ტრაგედიის მოახლოების განცდას.
   - „გმირთა სისხლით ნაპოხიერი“ – ნაპოხიერი (ანუ წყალი, რომელსაც შთანთქავს მიწა), მაგრამ აქ ის ტრადიციულად არის მძიმე, მძიმედ დატვირთული მნიშვნელობით, ეხმარება გმირთა სულებს.